ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №21

23 იანვარი 2023 წელი

12:00 საათი

ა/წ 23 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ანა კაკაბაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ვახტანგ სურგულაძე;
7. მამუკა გუგეშაშვილი;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ციალა ჯელაძე;

სხდომის დღის წესრიგი:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამების შესახებ ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ციალა ჯელაძეს;

მომხსენებელმა წარმოადგინა ინფორმაცია 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამების შესრულების შესახებ, კერძოდ:

დაავადებათა სკრინინგი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებისთვის განსაზღვრული 2 100 000 ლარიდან გაიხარჯა 2 100 000 ლარი, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის სამედიცინო აპარატურის განსაახლებლად გაიხარჯა 1 000 000 ლარი.

დასახული შუალედური შედეგები: დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება. დაგეგმილი იყო 107 441 კვლევის ჩატარება, ჩატარდა 130 857 კვლევა.

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა

დასახული შუალედური შედეგები:

ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა, აცრების გაუმჯობესებისათვის ორგანიზებული ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები: გადამდებ დააავდებათა ეპიდ.ზედამხედველობა და კონტროლი; დაავადებათა პრევენცია.

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება

სულ ჯამში აღნიშნული ქვეპროგრამით გადარიცხულია 1 597 517 ლარი.

დასახული შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებით „ფინგოლიმოდი“ და „ოკრელიზუმაბი“ პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა,, დაგეგმილი იყო 82 პაციენტის დაფინანსება, დაფინანსდა 111 პაციენტი.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა

დაგეგმილი იყო, საშუალოდ თვეში, 1550 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა. მომსახურება გაეწია 1550 ბავშვს, მომლოდინეთა რიგში არის 200-მდე ბავშვი, რომლებიც 2023 წლის განმავლობაში ჩაერთვებიან პროგრამაში.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა

დასახული შუალედური შედეგები: HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე განკურნება; R2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ

მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია. დაგეგმილი იყო 261 პაციენტის დაფინანსება, დაფიანსდა 238 პაციენტი.

ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა

დასახული შუალედური შედეგები: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას. დაგეგმილი იყო 157 პაციენტის დაფინანსება. დაფინანსდა 163 პაციენტი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

დასახული შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. საშუალოდ თვეში, დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა 204 ბენეფიციარისათვის, მომსახურება გაეწია 212 ბენეფიციარს.

კომუნალური სუბსიდირება

დაგეგმილი იყო 51 500 ოჯახის სუბსიდირება (5 თვის განმავლობაში).საშუალოდ თვეში, განხორციელდა 53 484 ოჯახის სუბსიდირება (5 თვის განმავლობაში).

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

საშუალოდ თვეში, დაგეგმილი იყო დახმარების გაწევა 19 900 ბავშვისათვის. დახმარება გაეწია 19 732 ბავშვს, მათ შორის 50% გოგონა იყო.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ 3 ბენეფიციარს, რომლთა მომსახურების გაწევისთვის 3000 ლარი გადაერიცხა ა.ა.ი.პ. ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელს.

დასახული შუალედური შედეგები - 2022 წელს მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით საშუალოდ თვეში, დაგეგმილი იყო 6 ბენეფიციარის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგი - 2022 წლის ოქტომბერსა და ნოემბრის თვეში მომსახურება გაეწია 3 ბენეფიციარს;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება

საკურორტო მომსახურების ნაწილში, საანგარიშო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ იქნა 2039 ვაუჩერი.

დასახული შუალედური შედეგები - შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერა. დაგეგმილი იყო 2 030 ვაუჩერების გაცემა. მათ შორის 37.6% გოგონასათვის.

მიღწეული შუალედური შედეგი - დაფინანსდა 2 039 ვაუჩერი. მათ შორის 36.1% გოგონასათვის;

100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

საქალაქო სამსახურში შემოსულია 100 წელს მიღწეული მოქალაქეთა 47 განცხადება, თითოეული მოქალაქის პირად ანგარიშზე ჩარიცხულია 1 000 ლარი, როგორც პროგრამის ფარგლებშია განსაზღვრული.

უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში

დასახული შუალური შედეგები - სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და "მოსწავლე-ახალგაზრდობის

ეროვნულ სასახლეში" არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა. საშუალოდ თვეში, დაგეგმილი იყო 1900 ბავშვის სწავლების დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 54% გოგონა მოიაზრებოდა.

საშუალოდ თვეში, განხორციელდა 1854 ბავშვის სწავლების დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 53.3% გოგონაა.

უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში

საშუალოდ თვეში, პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებით, დაგეგმილი იყო 2 605 ბავშვისათვის სწავლების დაფინანსება. დაფინანსდა 2 558 ბავშვი.

უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში

დასახული შუალური შედეგები - სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სპორტულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა. დაგეგმილი იყო 1411 ბავშვის სწავლებაის დაფინანსება (საშალოდ თვეში).საშუალოდ თვეში, პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებით ისარგებლა 1515 ბავშვმა.

„სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)"

იგეგმებოდა 81 734 პლასტიკური ბარათის გაცემა.გაიცა 54 667 პლასტიკური ბარათი.

სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგებში სულ გადარიცხულია 8 842 176 ლარი. სულ დაფინანსდა 21 034 პირის 50 865 მოთხოვნა. ბენეფიციართა 78% იყო ქალი ხოლო 22% მამაკაცი. დაგეგმილი იყო 20 583 მოთხოვნის დაფინანსება- დაფინანსდა 21034 ბენეფიციარი.

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგებში სულ გადარიცხულია 13 536 034 ლარი. აქედან 2 422 677.4 ლარით დაფინანსდა 3 064 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 5 976

389.7 ლარით 5 426 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა და 5 136 966.8 ლარით 5 464 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები.

დასახული შუალური შედეგები - ქ. თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა. დაგეგმილი იყო 16 500-მდე განცხადების დაფინანსება.

მიღწეული შუალედური შედეგები - დაფინანსდა 13 954 განცხადება.

ომის ვეტერანთა დახმარება

მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, შესაბამისი სტატუსის მქონე პირებისათვის გადარიცხულ იქნა შემდეგი თანხები: 1. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 84 ბენეფიციარს გადაერიცხა 1 000 ლარი, სულ 84 000 ლარი, 2. ამ ომში მარჩენალ დაკარგულის სტატუსის მქონე 46 ბენეფიციარს 500 ლარი, სულ 23 000 ლარი. სულ პროგრამის ფარგლებში გახარჯული იქნა 107 000 ლარი. პროგრამით გათვალისწინებული თანხა მიიღო 130 პირმა.

მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია ხანდაზმულთა დღის ცენტრის კომუნალური ხარჯები 596,20 ლარით (ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი). კერძოდ, 356,33 ლარი გადაირიცხა შპს „ვარკეთილაირში", 195,09 შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში", 44,78 ლარი შპს „თელმიკოში". გეგმის შესაბამისად ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით, საშუალოდ თვეში, ისარგებლა 145-მა ხანდაზმულმა.

პალიატიური ზრუნვა

დასახული შუალური შედეგები- მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა. საშუალოდ თვეში, დაგეგმილი იყო 141 ბენეფიციარის მომსახურება, ხოლო ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე 10 პირის მომსახურება

მიღწეული შუალედური შედეგები - მიუსაფარი პირების თავშესაფრის მომსახურებით, საშუალოდ თვეში, ისარგებლა 111-მა ბენეფიციარმა, ხოლო ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე 10 პირს გაეწია მომსახურება.

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

დასახული შუალური შედეგები - სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა. დაგეგმილი იყო, წლის განმავლობაში ორჯერ, საშუალოდ 1380 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული შუალედური შედეგები - წლის განმავლობაში ორჯერ, საშუალოდ 1349 ბენეფიციარი დაფინანსდა.

,,ვოლდ ვიჟენის" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

დასახული შუალური შედეგები - სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა. დაგეგმილი იყო, საშუალოდ თვეში, 24 ბავშვისათვის მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები -საშუალოდ თვეში, მომსახურება გაეწია 25 ბავშვს.

,, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება"

დაგეგმილი იყო წელიწადში სამჯერ, საშუალოდ 608 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული შუალედური შედეგები - წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 593 ბენეფიციარი დაფინანსდა.

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

დაგეგმილი იყო 848 ბავშვის ოჯახის დაფინანსება, დახმარება გაეწია 832 ბავშვის ოჯახს.

შინმოვლის თანადაფინანსება

დასახული შუალური შედეგები - უძლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. დაგეგმილი იყო, საშუალოდ თვეში, 900 ბენეფიციარისათვის მომსახურების გაწევა, მათ შორის 630 მდედრობითი სქესის ბენეფიციარი.

მიღწეული შუალედური შედეგები - საშუალოდ თვეში, მომსახურება გაეწია 761 ბენეფიციარს. მათ შორის 578 მდედრობითი სქესის ბენეფიციარი იყო.

შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (14 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - **5625.60** ლარი; ა(ა)იპ კავშირი ია - **8052** ლარი; ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - **5606.80** ლარი; ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - **10 159.60**ლარი; ა(ა)ი.პ მშობელთა ხიდი - **7214.80** ლარი; ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - **482.80** ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - **9475** ლარი; ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - **10 722.80** ლარი; ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - **6641.20** ლარი; კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ- **20 485** ლარი; ა(ა)იპ მშობლების თანადგომა- **3471.40** ლარი.

ჯამში 11 დღის ცენტრი დაფინანსდა 87 937 ლარით

საგარანტიო შესრულებები - სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსება - 715 250 ლარი (84 განცხადება)

კომისიის წევრი ანა კაკაბაძე დაინტერესდა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის მომლოდინეთა რაოდენობა პროგრამაში ჩართვის მსურველების რაოდენობას გულისხმობს, თუ კონკრეტული დაწესებულების მომლოდინეთა რიგს.

ციალა ჯელაძის განმარტებით, უტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლები ხშირად ითხოვენ რომ, პროგრამული სერვისები მიაწოდოს კონკრეტულმა დაწესებულებამ. ვინაიდან მშობლის მიერ არჩეულ დაწესებულებას არ გააჩნია რესურსი დაიმატოს ბენეფიციარები, დგება მომლოდნეთა სია. ამასთან, 2023 წლიდან პროგრამა დამატებით 354 ბენეფიციარს მოემსახურება, რაც ავტომატურად შეამცირებს მომლოდინეთა რაოდენობას.

სხდომის დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ საყოველთაო ჯანდაცვის DRG დაფინანსების წესთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამების 2022 წლის შესრულება კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე